პროექტი

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია „__“ „_____“ 2018 წ.

1. **ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა**:

1.1 `სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება~ (შემდგომ – `ხელშეკრულება~) - `სახელმწიფო შესყიდვების შესახებ~ საქართველოს კანონის საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2 `შემსყიდველი ორგანიზაცია~ (შემდგომ `შემსყიდველი~) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.3 `მიმწოდებელი~ ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;
1.4 `ხელშეკრულების ღირებულება~ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.5 `დღე~, `კვირა~, `თვე~ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. **ხელშეკრულების დამდები მხარეები**

ერთის მხრივ, ს.ს.ი.პ. „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლა“, ს/კ. 228525236, მისამართი სოფელი ხორნაბუჯი, ქიზიყის ქ. №1 (შემდგომში „შემსყიდველი“) და

მეორეს მხრივ,

(მიმწოდებლის დასახელება და რეკვიზიტები)

3. ხელშეკრულებისსაგანი

3.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ს.ს.ი.პ. „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის“ სამედიცინო ოთახის მოწყობის სამუშაოების (CPV-45400000) შესყიდვა ელექტრონული ტენდერის საშუალებით.

4. ხელშეკრულებისღირებულება

4.1 შესასრულებელი სამუშაოს საერთო ღირებულება შეადგენს ---------- ლარს.
4.2 შესასრულებელი სამუშაოს ერთეულის ღირებულებები მოცემულია სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულებას თან ერთვის --- ფურცლად.
4.3 სამუშაო შესრულებული იქნება შემდეგ მისამართზე:
ხელშეკრულების 3.1 პუნქტში მითითებულ მისამართებზე.

5. მხარეთაუფლება - მოვალეობანი

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო. იგი პასუხის მგებელია შესრულებული სამუშაოს ხარისხსა და ვარგისიანობაზე.

5.2 შემსყიდველი ორგანიზაცია იღებს ვალდებულებას შესასრულებელი სამუშაოს ღირებულება გადაურიცხოს შემსრულებელ სამუშაოთა დასრულების, შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაციის (ანგარიშ-ფაქტურა/სასაქონლო ზედნადები) წარმოდგენის, სამუშაოთა მოცულობებისა და ხარისხის შესახებ აკრედიტირებული ექსპერტის ან საექსპერტო დაწესებულების მიერ გაცემული დადებითი საექსპერტო დასკვნის წარმოდგენისა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

შენიშვნა: სამუშაოთა მოცულობებისა და ხარისხის შესაბამისობის შესახებ ექსპერტის დასკვნის ღირებულება უნდა ანაზღაურდეს მიმწოდებლის მიერ. (დასკვნასთან ერთად, ასევე, წარმოდგენილი უნდა იქნას დასკვნის გამცემი პირის შესაბამისი უფლებამოსილების/აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტი).

5.3 შემსყიდველი არაგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.

5.4 შემსყიდველი არაგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

6. სამუშაოს მიღება–ჩაბარების წესი

მიმწოდებლის მიერ სამუშაოს შესრულების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს ს.ს.ი.პ. „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანების საფუძველზე შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

8. შესასრულებელი სამუშაოს ხარისხი და გარანტია

8.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ შესრულებული სამუშაო არგამოავლენს ხარვეზებს და შესრულებული იქნება მაღალ ხარისხოვნად, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება.

9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარში.

9.2 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება. ანგარიშსწორება განხორციელდება სამუშაოთა დასრულების, შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაციის (ანგარიშ-ფაქტურა/სასაქონლო ზედნადები) წარმოდგენის, სამუშაოთა მოცულობებისა და ხარისხის შესახებ აკრედიტირებული ექსპერტის ან საექსპერტო დაწესებულების მიერ გაცემული დადებითი საექსპერტო დასკვნის წარმოდგენისა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

შენიშვნა: სამუშაოთა მოცულობებისა და ხარისხის შესაბამისობის შესახებ ექსპერტის დასკვნის ღირებულება უნდა ანაზღაურდეს მიმწოდებლის მიერ. (დასკვნასთან ერთად, ასევე, წარმოდგენილი უნდა იქნას დასკვნის გამცემი პირის შესაბამისი უფლებამოსილების/აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტი).

9.3 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო, გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

10. ფასები

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 პუნქტში დაფიქსირებული შესასყიდი სამუშაოს ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს.

10.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დასაშვებია საცალო ფასის (გასაწევი მომსახურების განსაზღვრული ფასის) გაზრდის ან შემცირების, ინფლაციის მაღალი დონის, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების, საგადასახადო რეჟიმის შეცვლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის - 398-ე მუხლში გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილებები არგამოიწვევს ხელშეკრულების პირობების გაუარესებას შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.

10.3 ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არუნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ღირებულების 10% -ს.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არარის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმგარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. უფლებების გადაცემა

მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

13. ქვე-კონტრაქტორები

13.1 იმ შემთხვევაში, თუ ქვე-კონტრაქტორის დადების ან ქვე-კონტრაქტორის შეცვლისა უცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.

13.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა ქვე-კონტრაქტორის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს მისი გაფორმებიდან ერთი კვირის ვადაში.

13.3 ქვე-კონტრაქტორი კომპანია არუნდა იყოს რეგისტრირებული სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში - ,,შავისია".

13.4 შემსყიდველის თანხმობის გარეშე ქვე-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, იგი უფლებამოსილია მიმწოდებელს შეუწყვიტოს ხელშეკრულება და დააკისროს ჯარიმის სახით პირგასამტეხლო სახელშეკრულებო თანხის 2%-ის ოდენობით.

13.5 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი ქვე-კონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

14. ფორს-მაჟორი

14.1 ხელშეკრულებების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავდ ამათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომითან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზან შეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოინახოს ვალდებულებების შესრულების

ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებლები იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

15.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მხარეთა მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მათ დაეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების ***0,2%*** -ის ოდენობით.

15.2 მხარეთა მხრიდან ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის მათ დაეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების ***5%*** -ის ოდენობით, ხოლო ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში - შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების ***10%-ის*** ოდენობით.

15.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16. ხელშეკრულების შეწყვეტა

16.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

16.2 ხელშეკრულები დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებულიგადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.

16.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხის მგებლობისაგან.

16.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერუზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

16.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

17. დავების გადაწყვეტის წესი

17.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილ იმათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

17.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებიმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

18. სხვა პირობები

18.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2018 წლის ---------- 201- წლის --------.**

18.2 მიმწოდებლის მიერ სამუშაოს შესრულების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე.

18.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე **2** ეგზემპლარად და **ორივეს** აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

შემსყიდველი ორგანიზაცია: **მიმწოდებელი:**

ს.ს.ი.პ. „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის

სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლა“ ----------

უფლებამოსილი წარმომადგენელი ----------

შენიშვნა:ხელშეკრულებისპირობებისსაბოლოოვარიანტიშეიძლებადაზუსტდესდადაიხვეწოს ტენდერშიგამარჯვებულპრეტენდენტთანხელშეკრულებისგაფორმებისპროცესში.